ხელშეკრულება № 17
სახელმწიფო შესყიდვებზე
შემდგომი რეალიზაცია

ქ. თბილისი 13 თებერვალი 2014 წ.

ერთი მხრივ შპს ,,საქწიგნი" (შემდგომში-მიმღები), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ლია მეტრეველის სახით და მეორე მხრივ სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი პატარიძის სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვდებთ ამ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შემდგომი რეალიზაციის მიზნით გადასცეს მიმღებს საკუთრების უფლება ხელშეკრულების მე-2 მუხლში აღნიშნულ პროდუქციაზე და მიაწოდოს მასთან დაკავშირებული საბუთები.

1.2. მიმღები იღებს ვალდებულებას, მიიღოს შემოტანილი პროდუქცია შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

2. პროდუქცია

2.1. სარეალიზაციო პროდუქციას (შემდგომში პროდუქცია) წარმოადგენს:

	დასახელება	რაოდენობა	ღირებულება (ლარებში)	ჯამი
1	ორგანული კანონი ,,საქართველოს შრომის კოდექსი"	10	2.50	25.00
				25.00

2.2 მიმწოდებელი გადასცემს მიმღებს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალ პრუდუქციას.

2.3 ნივთობრივად უნაკლო პროდუქციის ქვეშ იგულისხმება პროდუქცია, რომელიც ვარგისია ჩვეულებრივი სარგებლობისათვის, ხოლო უფლებრივად უნაკლო პროდუქციის ქვეშ იგულისხმება, რომ მესამე პირს არ შეუძლია წაუყენოს მოთხოვნები მყიდველს ნაყიდი პროდუქციის გამო.

3. პროდუქციის ფასი და ანგარიშსწორების წესი

3.1. რეალიზებული პროდუქციის ღირებულების გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

3.2. თუ პროდუქცია არ იქნა რეალიზებული 2014 წლის 10 მაისამდე, მიმწოდებელი ვალდებულია გაიტანოს უკან გაუყიდავი პროდუქცია დაუყოვნებლივ, მიმღების მიერ წარდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე.

4. პროდუქციის გადაცემის ადგილი და დრო

4.1. პროდუქციის გადაცემა ხორციელდება მისამართზე ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 9

5. საკუთრების უფლების გადასვლა

5.1. საკუთრების უფლება მიმღებზე გადადის კანონით დადგენილი წესით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

6.2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ პროდუქცია ნამდვილად მას ეკუთვნის, მოპოვებული აქვს კანონიერი გზით, არ არსებობს არავითარი პრეტენზია ან სარჩელი სასამართლოში ან კერძო არბიტრაჟში პროდუქციის საკუთრების უფლებაზე, ასევე რომ არ არის დაგირავებული ან სხვაგვარად დატვირთული.

6.3. მიმღები ვალდებულია გადაიხადოს პროდუქციის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით;

7. დამატებითი პირობები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღეს და მოქმედებს 2014 წლის 13 მაისამდე, მაგრამ არაუადრეს მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

7.2. ყველა ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში ხდება წერილობით, ორივე მხარის ხელმოწერით.

7.3. მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმეს განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.4. ყოველივე, რასაც არ ითვალისწინებს წინამდებარე ხელშეკრულება, განიხილება და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად, თითოეული მხარისათვის.

8. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

„მიმღები“	„მომწოდებელი“
შპს „საქწიგნი“	სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო
მაცნე	
ს/კ 202888269	იურიდ. მისამართი:
იურიდ. მისამართი:	ქ. თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქ. 68
ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 9	ს/კ 203862622
	საბანკო რეკვიზიტები: სს პრივატ ბანკი
	ბანკის კოდი: CAVOGE22
	ა/ა GE26TP0034020020000306
გენერალური დირექტორის მოადგილე	თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ლია მეტრეველი	გიორგი პატარაია